ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N96

2018 წლის 25 მაისი
ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის მიმდებარედ გამავალი 29 მეტრ მანძილზე 0.4 კვ ძაბვის ავარიული საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენის მიზნით, რომელიც განშტოებით მიერთებულია ქ/ს ოჩხამურიდან გამომავალ ფიდერი N7 არსებულ სატრანსფორმატორო პუნქტ სპ 102-325-ზე საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად;

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს ავარიული საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენის მიზნით საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

სარკინიგზო ლიანდაგის
გადაკვეთა ე.წ. „თხუნელა"-ს
მეთოდით
პკ 0+29
პკ 0+00
01.01.103
20.31.02.031
20.37.02.202
20.00.095